

საკრედიტო რისკის კომპონენტები კომერსიულ ბანკებში და მათი რეზულირება

საკრედიტო რისკები, ანუ საშიშროება იმისა, რომ დებიტორი ვერ შეძლებს განახორციელოს სესხის ძირითადი ნაწილის და საპროცენტო სარგებლის გადახდა სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, გვევლინება საბანკო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს და განუყოფელ ნაწილად.

საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ სესხების გადახდები შეიძლება შეფერხდეს, ან საერთოდ არ იქნას გადახდილი, რომელმაც შესაძლოა თავის მხრივ ფულადი სახსრების მოძრაობა შეაფერხოს, რაც აუცილებლად აისახება ბანკის ლიკვიდობაზე.

მიუხედავად ფინანსური მომსახურების ინოვაციებისა საბანკო სექტორში, საკრედიტო რისკი მაინც რჩება საბანკო პრობლემების ძირითად მიზეზად.

საკრედიტო რისკი შეიძლება დავყოთ სამ ძირითად სახედ:

- პირადი, ანუ სამომხმარებლო რისკი;
- კორპორაციული, ანუ კომპანიის რისკი;
- სუვერენული, ანუ ქვეყნის რისკი.

საკრედიტო რისკის პოტენციული არასასურველი შედეგების გამო ძალზედ მნიშვნელოვანია საბანკო საქმიანობის ყოველმხრივი ანალიზი, შეფასება, ადმინისტრირება, დაკვირვება, კონტროლის განხორციელება სესხების დაბრუნებაზე, გარანტიებზე, ავანსებზე და სხვა საკრედიტო ინსტრუმენტებზე.

საკრედიტო რისკების მართვის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება საკრედიტო პორტფელის მართვას. საკრედიტო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს საკრედიტო რესურსების განაწილების გეგმას, მათ მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც კრედიტები წარმოიშობა, ხდება მათი მომსახურება, კონტროლდება და უკან ბრუნდება.

როგორც წესი, საკრედიტო პოლიტიკა მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული დირექტორთა საბჭოს მიერ და ზუსტად უნდა იქნას განხორციელებული მენეჯერთა მიერ, მაგრამ არ უნდა იყოს ზედმეტად შეზღუდული. იგი საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს იმისათვის, რომ ახალ საბაზრო პირობებში ბანკმა შეძლოს სწრაფი რეაგირება და ცვლილებების შეტანა მის აქტივებში.

მაია ალადაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში, ასისტენტ-პროფესორი.

ნანა რინკიაშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: გაცემული სესხების საერთო ლიმიტის განსაზღვრა; გეოგრაფიული ლიმიტები; კრედიტების კონცენტრაცია; სესხების სახეები; სესხების ვადები; საპროცენტო განაკვეთები; საკრედიტო ადმინისტრირება; შეფასების პროცესი; რეგისტრაცია სააღრიცხვო სისტემაში; მსესხებლის საფინანსო ინფორმაცია.

სესხების საერთო ლიმიტის დადგენისას ბანკმა უნდა გაითვალისწინოს დეპოზიტების და კაპიტალის, ასევე მთელი აქტივების მოცულობა, ასევე მოთხოვნა კრედიტებზე და დეპოზიტების ცვალებადობა.

გეოგრაფიული არეალი ერთ-ერთი რთული პრობლემაა ბანკებისთვის, რადგან ამ არეალის გაფართოება, განსაკუთრებით ეკონომიკურად ნაკლებადგანვითარებულ რეგიონებში, შესაძლოა გახდეს ვადაგადაცილებული სესხების მიზეზი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული შეზღუდვებიც არც თუ სასარგებლოა ბანკებისთვის, ამიტომ გეოგრაფიული არეალის მკვეთრი განსაზღვრა არსებული ყველა პირობების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ფაქტორია საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კრედიტების კონცენტრაცია. ბანკმა უნდა უზრუნველყოს საკრედიტო პორტფელის დივერსიფიცირება და ბალანსის დაცვა მაქსიმალურ შემოსავალსა და მინიმალურ რისკს შორის. აქ ძალზედ მნიშვნელოვანია ერთ კლიენტზე გაცემული სესხის ლიმიტის დადგენა მისი საქმიანობის სფეროს, დარგის მიხედვით. თუმცა ეს ლიმიტი უნდა პერიოდულად იქნას გადახედილი ბანკის მიერ და განხ-

ორცილედეს შესაბამისი ცვლილებები.

სესხის სახეების განსაზღვრა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საბანკო საკრედიტო პოლიტიკის რეგულირებაში. ქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ სახეების სესხების უკვე არსებული გამოცდილება, რადგანაც თუ კი რომელიმე სესხი შეიცავს დიდ რისკებს, რამაც უარყოფითი შედეგები მოუტანა რომელიმე ბანკს, მაშინ ან საერთოდ ამბობს უარს ბანკი ამ ტიპის სესხზე, ან მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის მიერ უნდა განისაზღვროს ყველა ტიპის სესხზე გონივრულად მაქსიმალური ვადები და რეალური სესხის გადახდის გრაფიკი, რომელიც შესაბამისობაში იქნება როგორც სესხის დაფარვის წყაროებთან, ასევე კრედიტის მიზნობრივობასთან და გირაოს სახეობასთან.

საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა განსხვავებული ტიპის სესხებზე. იგი განპირობებულია მრავალი ფაქტორით, როგორებიცაა საპროცენტო განაკვეთები ანაბრებზე და დეპოზიტებზე, ასევე სხვა მოზიდული რესურსების დანახარჯები, ბანკის ადმინისტრირების ხარჯები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნას მინიმალური მოგება მაინც. სარგებლის განაკვეთები პერიოდულად უნდა გადახედული და შეცვლილი იქნას ბანკის მიერ კონკურენტული ფაქტორების შესაბამისად. საპროცენტო განაკვეთების დიფერენცირება შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბანკის მიერ გარკვეული კატეგორიის მსესხებელთა მოსაზიდად. გარდა საპროცენტო განაკვეთისა, საფასო პოლიტიკის ნაწილია აგრეთვე სესხის გაფორმების და განადგობის საკომისიო, ასევე საჯარიმო განაკვეთები.

საკრედიტო ადმინისტრირება ხშირად განისაზღვრება ბანკის სიდიდიდან გამომდინარე. მცირე ზომის ბანკებში ეს ცენტრალიზებულია, ხოლო უდიდესი ბანკები, დაკრედიტების პროცესის შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით, ცდილობენ რაც შეიძლება დეცენტრალიზებული გახადონ ეს პროცესი, შესაბამისად გეოგრაფიული მდებარეობისა, საკრედიტო პროდუქტების სახეებისა და კლიენტურისა.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია კლიენტის საფინანსო ინფორმაციის სიზუსტე. კრედიტის უსაფრთხო გაცემა და დაფარვა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის მოპოვებაზე და მათ ანალიზზე. ბანკისთვის უფრო ფა-

სეული და ყურადღებამისაქცევია კლიენტის ფინანსური ინფორმაცია, ვიდრე სესხის გირაოს ოდენობა, რადგან ბანკის მთავარი ინტერესია გაცემული სესხის უპრობლემო დაფარვა, და არა მსესხებლის მიერ დაგირავებული ქონების ლიკვიდაცია და სესხის იძულებითი დაფარვა, რომელიც გაცილებით რთული და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე სესხების დროული დაფარვა.

სწორედ ამიტომ, საკრედიტო პოლიტიკის მიერ მკაცრად უნდა იქნას მსესხებელთა ყველა კატეგორიის მიმართ, ეს იქნება მსხვილი კორპორაცია თუ ინდივიდუალური მსესხებელი, განსაზღვრული და გაწერილი ფინანსური ანგარიშგებების მოთხოვნები, რომელშიც აუცილებლად უნდა შედიოდეს ფინანსური ანგარიშგება აუდიტორის დასკვნით, შემოსავლების და ხარჯების ზუსტი ნუსხა, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი და სხვა ფინანსური დოკუმენტაცია. თუ კრედიტის ვადა განსაზღვრულია ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით, მაშინ აუცილებელია ორგანიზაციის გრძელვადიანი ბიზნეს-გეგმის არსებობა და მისი დეტალური შესწავლა საკრედიტო კომიტეტის მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო გართულებები კრედიტის დაფარვაში.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის აღრიცხვისადმი მოთხოვნების მხრივ შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან საბანკო დაწესებულებები, ვიდრე მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც აფინანსებენ მსესხებელთა სწორედ იმ კატეგორიას, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო ხელი არ მიუწვდებათ საბანკო სესხებზე. სწორედ ერთ ერთი ასეთი მიზეზია ფინანსური აღრიცხვის მოუწესრიგებლობა მთელ რიგ ორგანიზაციებში.

მიმდინარე პერიოდში, საქართველოში, სამწუხაროდ, მცირე ბიზნესების დიდი რაოდენობა შემოიფარგლება მხოლოდ წელიწადში ერთხელ სავალდებულო საშემოსავლო დეკლარაციის შევსებით და წარდგენით შესაბამის ორგანოში, მფლობელების უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს ბიზნესის მოკლევადიან თუ გრძელვადიან გეგმაზე და ელემენტარულ საფინანსო აღრიცხვის დოკუმენტებზე. აქედან გამომდინარე მიუწესრიგებელია მათი ფინანსური მდგომარეობის აღრიცხვიანობა, რაც საბანკო სესხების დროული დაფარვის რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს. სწორედ ამ მაღალი რისკით არის განპირობებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში სესხების უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთები ბანკებთან შედარებით.

თანამედროვე პერიოდში არსებული საბანკო კონკურენციის მასშტაბებიდან გამომდინარე, ბანკის საკრედიტო პოლიტიკაში აუცილებლად უნდა

გაითვალისწინონ სხვა ბანკების მიდგომა და გამოცდილება ამ კუთხით. უკანასკნელ პერიოდში პოპულარული გახდა კლიენტის პორტირება სხვა საბანკო საწესებულებაში თითქოსდა უკეთესი სასესხო პირობებით. სხვა ბანკში არსებული საკრედიტო პოლიტიკის ზოგიერთი მიდგომის გამო, რომელსაც თავისი გამომწვევი კონკრეტული მიზეზები გააჩნია, ხშირად მეორე ბანკი იძულებული ხდება გაატაროს მსგავსი პოლიტიკა, რაც შესაძლოა, მისი საქმიანობის სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, საერთოდ არ აღმოჩნდეს მომგებიანი ამ საბანკო ინსტიტუტისთვის, მაგრამ იგი იძულებულია წავიდეს ამ ნაბიჯზე ზოგიერთი ტიპის კლიენტის მოსაზიდად. მთა-

ვარი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ზარალის ან პრობლემის გამორიცხვა სესხების დაფარვისას, რაც მოითხოვს ბანკების მხრიდან რისკების ზუსტ გათვლებს და გონივრული საკრედიტო პოლიტიკის გატარებას.

ბოლოს, ბანკის საკრედიტო პოლიტიკა აუცილებლად უნდა იყოს შევსებული და გაწერილი დოკუმენტურად, კონკრეტული ღირებულებების სახით, რომელიც დეტალურად იქნება გაწერილი ბანკის სხვადასხვა განყოფილებების მიერ შესასრულებელი ამოცანების და სამოქმედო პროცედურების სახით, რომელიც საბოლოო ჯამში კორდინირებული უნდა იყოს ბანკის ერთიან საკრედიტო პოლიტიკასთან.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ”. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა, თბილისი, სეპ-ის გ-ბა. 1996.
2. 2012 წლიური ანგარიში. საქართველოს ეროვნული ბანკი. გვ.73. www.Nbg.ge
3. Грюнинг Хенни ван, Братанович Соня Брайович. Анализ банковских рисков. Система оценки корпоративного управления и управления финансовым риском. Москва: издательство „Весь Мир”. 2007, с.4.
4. Эйкен Джон Вон., Менеджмент. Руководство по выживанию. Москва: Альпина бизнес букс. 2009, 290 с.

КОМПОНЕНТЫ КРЕДИТНОГО РИСКА В КОММЕРЧЕСКИХ БАНКАХ И ИХ РЕГУЛИРОВАНИЕ

МАИЯ АЛАДАШВИЛИ,

доктор социальных наук в Экономике, асист-проф.

НАНА РИНКИАШВИЛИ,

асоц. проф. Телавского государственного университета им. И. Гогебашвили

Для определения кредитной политики должны рассматриваться следующие факторы: Лимит на общую сумму выданных кредитов; Географические лимиты; Концентрация кредитов; Виды кредитов; сроки кредитов; Кредитное администрирование; Процесс оценки; Кредитное ценообразование; Регистрация в учетных записях; Финансовая информация клиента.

Писменные директивы и процедуры, которые утверждены и введены в действие, нужно упомянуть в общей кредитной политике банка.

COMPONENTS OF CREDIT RISK IN COMMERCIAL BANKS AND THEIR REGULATION

MAIA ALADASHVILI,

doctor of social sciences in economy, asist.-prof.

NANA RINKIASHVILI,

asoc. professor of Telavi I. Gogebashvili State University

Credit Portfolio Management is of utmost importance in credit risks management. The following factors should be considered in credit policy development: define total limit of disbursed loans; loan types; maturity of loans; terms and conditions; interest rates; loan administration; evaluation process registration in the MIS, the borrower financials. Lending policy of the bank should be developed and registered in line with the overall lending policy of the Bank.